საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0118, Tbilisi, Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 94
„18“ „07“ 2022 წ.

დასკვნა

არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-3/225; 21.06.2022) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (№07-3/225; 21.06.2022) და აღნიშნავს შემდეგს:

საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის „გ.გ.“ და „გ.დ.“ ქვეპუნქტები არ არის სათანადო სახით შევსებული. კერძოდ: „გ.დ“ ქვეპუნქტში (სადაც აღინიშნება - არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან) მითითებულია, რომ - „პირდაპირი ვალდებულება არ არსებობს“, მაშინ როდესაც ამავე განმარტებითი ბარათის „გ.ა“ ქვეპუქტში საუბარია ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე საქართველოსთვის სავალდებულო დირექტივაზე და წარმოდგენილი კანონის პროექტის ამ დირექტივასთან ურთიერთკავშირზე. გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებულ „გ.ა“ ქვეპუნქტში მოყვანილი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის 2009/40/EC დირექტივა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების საგზაო მოძრაობისთვის გამოსადეგი ტესტების შესახებ, გათვალისწინებულია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIV-ე დანართში, ხოლო ამავე ხელშეკრულების 296-ე მუხლის

მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება შეთანხმების XXIV-ე დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან ამავე დანართის დებულებების შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის მომენტისათვის თავად ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების საგზაო მოძრაობისთვის გამოსადეგი ტესტების შესახებ 2009/40/EC დირექტივა ძალადაკარულია, თუმცა იგი ჩანაცვლებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის 2014/45/EU დირექტივით - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების რეგულარული ტექნიკური დათვალიერებისა და 2009/40/EC დირექტივის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ყოველივე ზემოხსენებულიდან თვალსაჩინოა, რომ შესაბამის აქტზე მითითება სათანადო ფორმით უნდა არსებობდეს ასევე მოცემული განმარტებითი ბარათის „ბ.ბ." და „გ.დ." ქვეპუნქტებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს იმსჯელოს არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურების დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი